

შპს „ემესსი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს „ემესსი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9-33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ემესსი ჯორჯიას“
პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ემესსი ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენ აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ („დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების“ ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.



**Building a better
working world**

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2019 წლის მმართველობითი ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2018 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ ეხება მმართველობით ანგარიშს და ამიტომ მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რაიმე ფორმით რწმუნებას ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფას-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, რომ საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა.

საბოლოო მაკონტროლებელი მხარე - სს „ემესსი მედიტერანიან შიფინგ კომპანი“ (MSC Mediterranean Shipping Company SA) (შემდგომში „პრინციპალი“) - პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.



Building a better
working world

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გაგლენას იქონიებს კლიენტების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.



**Building a better
working world**

- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2020 წლის 25 აგვისტო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ემესი ჯორჯიას“
პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ემესი ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ („დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების“ ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2019 წლის მმართველობითი ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2018 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ ეხება მმართველობით ანგარიშს და ამიტომ მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რამე ფორმით რწმუნებას ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, რომ საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა.

საბოლოო მაკონტროლებელი მხარე - სს „ემესსი მედიტერანიან შიფინგ კომპანი“ (MSC Mediterranean Shipping Company SA) (შემდგომში „პრინციპალი“) - პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს კლიენტების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე

დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2020 წლის 25 აგვისტო

შპს „ემესსი ჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო შემოსავალი	5	107,178	71,680
გაწეული მომსახურების ღირებულება	6	(72,118)	(45,426)
საერთო მოგება		35,060	26,254
სხვა საოპერაციო შემოსავალი		9	194
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(4,489)	(3,522)
საოპერაციო მოგება		30,580	22,926
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	13	1152	775
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან		(495)	(179)
მოგება გადასახადებამდე		31,237	23,522
მოგების გადასახადი	8	(3,446)	(2,793)
წლის მოგება		27,791	20,729
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		27,791	20,729

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 25 აგვისტო, შპს „ემესსი ჯორჯიას“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:


 ალექსანდრე ალილაშვილი
 მმართველი დირექტორი
 შპს „ემესსი ჯორჯია“


 თამარ ლომიძე
 მთავარი ფინანსური ოფიცერი
 შპს „ემესსი ჯორჯია“

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ემესსი ჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო შემოსავალი	5	107,178	71,680
გაწეული მომსახურების ღირებულება	6	(72,118)	(45,426)
საერთო მოგება		35,060	26,254
სხვა საოპერაციო შემოსავალი		9	194
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(4,489)	(3,522)
საოპერაციო მოგება		30,580	22,926
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	13	1152	775
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან		(495)	(179)
მოგება გადასახადებამდე		31,237	23,522
მოგების გადასახადი	8	(3,446)	(2,793)
წლის მოგება		27,791	20,729
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		27,791	20,729

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 25 აგვისტო, შპს „ემესსი ჯორჯიას“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

ალექსან ალიჯიქი
მმართველი დირექტორი
შპს „ემესსი ჯორჯია“

თამარ ლომიძე
მთავარი ფინანსური ოფიცერი
შპს „ემესსი ჯორჯია“

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ემესსი ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	439	497
არამატერიალური აქტივები	10	222	297
სულ გრძელვადიანი აქტივები		661	794
მოკლევადიანი აქტივები			
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	11	247	144
სახელშეკრულებო აქტივები	5	155	129
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	12	6,169	3,335
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	16,014	6,872
სულ მიმდინარე აქტივები		22,585	10,480
სულ აქტივები		23,246	11,274
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		50	50
გაუნაწილებელი მოგება		4,529	2,311
სულ საკუთარი კაპიტალი	14	4,579	2,361
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოგების გადასახადის დავალიანება		520	104
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა		580	515
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	17,070	7,790
სახელშეკრულებო ვალდებულებები	5	497	504
სულ მიმდინარე ვალდებულებები		18,667	8,913
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		23,246	11,274

9-33 გვერდებზე დართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ემესსი ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	50	2,223	2,273
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	20,729	20,729
დივიდენდები (მე-14 შენიშვნა)	–	(20,641)	(20,641)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	50	2,311	2,361
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	27,791	27,791
დივიდენდები (მე-14 შენიშვნა)	–	(25,573)	(25,573)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	50	4,529	4,579

შპს „ემესსი ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება გადასახადებამდე		31,237	23,522
არაფულადი კორექტირებები დაბეგვრამდე ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით			
ცვლილება, ამორტიზაცია და წმინდა შემოსავალი აქტივების გასხვისებიდან	9, 10	171	124
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		(1,152)	(775)
ფინანსურ და საინვესტიციო საქმიანობისთვის მიკუთვნებადი წმინდა საკუროსო სხვაობა		(197)	(104)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		30,059	22,767
საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები			
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში		(2,834)	(935)
ცვლილება სახელშეკრულებო აქტივში		(26)	(83)
ცვლილება გადახდილ ავანსებსა და სხვა მოკლევადიან აქტივებში		(103)	107
ცვლილება საგადასახადო დავალიანებაში, მოგების გადასახადის გარდა		65	62
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		9,280	(642)
ცვლილება სახელშეკრულებო ვალდებულებებში		(7)	325
		36,434	21,601
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		1152	775
მოგების გადახდილი გადასახადი		(3,030)	(3,030)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		34,556	19,346
საფინანსო საქმიანობა			
გადახდილი დივიდენდი	14	(25,573)	(20,641)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(25,573)	(20,641)
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები		(72)	(269)
არამატერიალურ აქტივებში გადახდილი თანხები		-	(28)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		34	80
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(38)	(217)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		197	104
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/ (შემცირება)		9,142	(1,408)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	13	6,872	8,280
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	13	16,014	6,872

9-33 გვერდებზე დართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ემესსი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ემესსი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მ. ლებანიძის ქ. 17, 0102. კომპანიას სამი ოფისი აქვს თბილისში, ფოთსა და ბათუმში (საიდენტიფიკაციო ნომერი 205276681).

კომპანია დაფუძნდა 2009 წლის 7 აპრილს და მოქმედებს, როგორც სს „ემესსი მედიტერანიან შიფინგ კომპანის“ („პრინციპალის“) გენერალური აგენტი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე. კომპანია ფუნქციონირებს ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მეშვეობით.

კომპანიის 80%-ს ფლობს შვეიცარიული სააქციო საზოგადოება „უნაითედ ეიჯენსის ლიმიტიდ“ (United Agencies Limited SA) („მშობელი კომპანია“), ხოლო 20%-ს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინვეკო“ (ერთობლივად „პარტნიორები“).

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის „ემესსი მედიტერანიან შიფინგ კომპანი“ (MSC Mediterranean Shipping Company SA), რომელიც შვეიცარიაში რეგისტრირებული კომპანიაა.

ფასს-ის მიხედვით მომზადებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება პარტნიორების მიერ ჯერ არ დამტკიცებულა. პარტნიორებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიას პირველად აქვს გამოყენებული სტანდარტში შესული გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ ცვლილებების ხასიათსა და გავლენას:

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. სტანდარტში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და იგი მოიჯარისგან მოითხოვს იჯარების უმეტესობის ბალანსზე აღრიცხვას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის მიხედვით აღრიცხვისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. შესაბამისად, ფასს 16 გავლენას არ ახდენს იმ იჯარებზე, რომლებშიც კომპანია მეიჯარედ გამოდის.

კომპანიამ ფასს 16 მიიღო მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, რომლის თავდაპირველი გამოყენების თარიღია 2019 წლის 1 იანვარი. ამ მეთოდის მიხედვით, სტანდარტი გამოიყენება რეტროსპექტულად, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების ჯამური (კუმულაციური) ეფექტით, რომელიც აღიარებულია თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. კომპანიამ არჩია სტანდარტზე გადასვლის გამარტივებული მიდგომის გამოყენება, რათა ხელახლა არ შეაფასოს, ხელშეკრულება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ამის ნაცვლად, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, კომპანიამ ეს სტანდარტი გაავრცელა მხოლოდ იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც მანამდე იჯარებად იყო იდენტიფიცირებული ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის მიხედვით. კომპანიამ ასევე არჩია აღიარებიდან გამონაკლისების გამოყენება საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლებსაც, იჯარის დაწყების თარიღისთვის, მაქსიმუმ, 12-თვიანი ვადა აქვთ და არ შეიცავენ შესყიდვის უფლებას („მოკლევადიანი იჯარები“) და საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა („დაბალი ღირებულების მქონე აქტივები“).

ფასს 16-ის გამოყენებას არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, რადგან მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებული გამონაკლისი კომპანიის ყველა საიჯარო გარიგებაზე ვრცელდება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია პრინციპალს უწევს აგენტის მომსახურებას, ასევე პრინციპალის საზღვაო გადაზიდვის კლიენტებს უზრუნველყოფს ადგილობრივი სატერმინალო, ლოგისტიკური და სხვადასხვა ადმინისტრაციული მომსახურებით.

კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული ანაზღაურების საფუძველზე და არ მოიცავს პრინციპალის სახელით მოკრებილ თანხებს. შემოსავალს კომპანია აღიარებს ვალდებულების შესრულებისას.

(i) პრინციპალის და აგენტის გამიჯვნა

აგენტის მომსახურების გაწევის ფარგლებში, კომპანია პრინციპალის სახელით იღებს გარკვეული მომსახურების საზღაურს. ეს საზღაური მოიცავს ფრაქტს, დემერიჯს და გარკვეულ მოთხოვნებზე ინვოისების გამოწერას პრინციპალის სახელით.

ამ საქმიანობაში კომპანიას არ ეკისრება გარკვეული მომსახურების გაწევის პირობის შესრულების ძირითადი პასუხისმგებლობა. კომპანიას არ აქვს უფლებამოსილება, რომ განსაზღვროს ამა თუ იმ მომსახურების ღირებულება. კომპანიის ანაზღაურება ამ ხელშეკრულებების ფარგლებში წარმოადგენს პრინციპალის მიერ აგენტის მომსახურებაში გადახდილ გასამრჯელოს. ამ ხელშეკრულებების თანახმად, კომპანია იღებს პრინციპალის მომსახურებაში გადახდილ საზღაურს პრინციპალის სახელით, მიღებული თანხები გადაეხდება პრინციპალს აგენტის გასამრჯელოს გამოკლებით. კომპანია იღებს ამ ოპერაციებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს, რადგან იგი ვალდებულია იმ შემთხვევაშიც გადაუხადოს პრინციპალს, თუ კლიენტები არ შეასრულებენ გადახდის ვალდებულებას.

კომპანიამ განსაზღვრა, რომ იგი არ აკონტროლებს კონკრეტულ მომსახურებას კლიენტისთვის მის მიწოდებამდე, შესაბამისად, იგი ამ საქმიანობაში გამოდის როგორც აგენტი და არა როგორც პრინციპალი.

2019 და 2018 წლებში კომპანიამ, შესაბამისად, 4,222 ლარის და 5,926 ლარის აგენტის გასამრჯელო აღიარა (მე-5 შენიშვნა).

(ii) მომსახურების გაწევა

კომპანია პრინციპალის საზღვაო გადაზიდვის კლიენტებს უწევს სატერმინალო, ლოგისტიკურ და სხვადასხვა ადმინისტრაციულ მომსახურებას. ამ საქმიანობაში კომპანიას ეკისრება ძირითადი პასუხისმგებლობა შესაბამისი მომსახურების გაწევაზე და, შესაბამისად, კლიენტებისგან მიღებულ საზღაურს აღიარებს საკუთარ შემოსავლად, როდესაც კლიენტს ამ მომსახურებას აწვდის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება თითოეული მომსახურების ყოველი ეტაპის დასრულების მითითებით. მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხებისა და რეზერვების, სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

კომპანიის შეფასებით, მომსახურების მოთხოვნა კმაყოფილდება მოცემულ დროში, თუ მომხმარებელი ერთდროულად მიიღებს და მოიხმარს კომპანიისგან მიღებულ სარგებელს. შესაბამისად, ფასს 15-ის თანახმად, კომპანია აგრძელებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებიდან / ხელშეკრულების პაკეტიდან მომსახურების კომპონენტებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებას დროთა განმავლობაში და არა დროის ერთ რომელიმე მომენტში.

კომპანია შესრულების პროცენტული წილის მეთოდით აღიარებს შემოსავალს და სახელშეკრულებო აქტივებს მაშინ, როდესაც საზღაურის დამოკიდებულება (პირობითი) შესაბამისი მომსახურების წარმატებით მიწოდებაზე. მომსახურების დასრულებისა და კლიენტის მიერ მათი მიღების შემდეგ, სახელშეკრულებო აქტივებად აღიარებული თანხა სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებად გადაკლასიფიცირდება.

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისგან გადახდა მიიღება ან გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება) კომპანიის მიერ შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე. სახელშეკრულებო ვალდებულებები შემოსავლად აღიარდება, როდესაც კომპანია შეასრულებს მათ ხელშეკრულების საფუძველზე (ე.ი. კლიენტს გადასცემს კონტროლს შესაბამის საქონელზე ან მომსახურებებზე).

(გ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია ისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად (გაგრძელება)

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(დ) უცხოური ვალუტები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში – ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტა, ვინაიდან ქართული ლარი იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ გარიგებებს კომპანია თავდაპირველად აღრიცხავს ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

(ე) გადასახადები

(i) მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება საგადასახადო განაკვეთები და კანონები, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების თარიღისთვის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) გადასახადები (გაგრძელება)

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აისახება სხვა გადასახადებად სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დღე აქტივის (ანაზღაურებადი დღე) ან ვალდებულების ნაწილში.

(iii) წმინდა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საქართველოს შემოსავლების სამსახური აკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა საგადასახადო დავალიანებასთან (მოგების გადასახადის გარდა) დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი საღრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი თვითღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება, და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოყვანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს.

(ii) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

(iii) ცვეთა

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო საშუალო ვადა ასეთია:

სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და საინფორმაციო	
ტექნოლოგიების სხვა აღჭურვილობა	5-დან 7 წლის ჩათვლით
საოფისე აღჭურვილობა	5-დან 7 წლის ჩათვლით

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრული ვადით ფასდება. შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების ორიდან ხუთ წლამდე საშუალო ვადაზე. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(თ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორისთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(ი) ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია

კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს შემდეგი შეფასების კატეგორიების მიხედვით:

- ▶ აქტივები, რომლებიც შემდგომში უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით (სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან მოგებაში ან ზარალში ასახვით); და
- ▶ აქტივები, რომლებიც უნდა აღირიცხოს ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელზე და ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადებზე.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივების შემთხვევაში, შემოსულობა და ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. სავაჭრო მიზნით არსებულ წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტირების შემთხვევაში, აღნიშნული დამოკიდებულია იმაზე, გააკეთა თუ არა კომპანიამ გამოუთხოვადი მითითება პირველადი აღიარებისას, რომ კაპიტალის ინვესტიცია აუცილებლად უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

კომპანია სასესხო კაპიტალის ინვესტიციების რეკლასიფიკაციას ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც იცვლება კომპანიის ასეთი აქტივების მართვისთვის განკუთვნილი ბიზნესმოდელი.

შეფასება

პირველადი აღიარებისას კომპანია ფინანსურ აქტივებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს, რასაც ემატება ფინანსური აქტივის შემენასთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ეს ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც უკავშირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს, მოგებაში ან ზარალში ასახვით, აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

სასესხო ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომლითაც იმართება აქტივი და ამ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს თავისი სასესხო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

ამორტიზებული ღირებულება

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობილი აქტივები, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული აქტივი წარმოშობს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. ამგვარი ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. აქტივის აღიარების შეწყვეტით წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობის ან ზარალის აღიარება ხდება პირდაპირ მოგებაში ან ზარალში და აისახება სხვა შემოსულობაში/(ზარალში), საკურსო სხვაობიდან მიღებულ შემოსულობასა და ზარალთან ერთად. გაუფასურების ზარალი წარმოდგენილია ცალკე მუხლის სახით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(თ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და ფინანსური აქტივების გასაყიდად გამიზნული აქტივები, თუ ამ აქტივების ფულადი ნაკადები მოიცავს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში აისახება სხვა სრულ შემოსავალში, გაუფასურების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობის და ზარალის გარდა, რომელთა აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ხდება მანამდე სხვა სრულ შემოსავალში ასახული კუმულაციური შემოსულობის ან ზარალის რეკლასიფიკაცია კაპიტალის მუხლიდან მოგებაში ან ზარალში და აღიარება ხდება სხვა შემოსულობაში/(ზარალში). ამგვარი ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება სხვა შემოსულობაში/(ზარალში), ხოლო გაუფასურების ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ცალკე მუხლის სახით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით

აქტივები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული აქტივის ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივის, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, კრიტერიუმებს, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. სასესხო ინვესტიციებიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში და წარმოდგენილია წმინდა ოდენობით იმ პერიოდის სხვა შემოსულობაში/(ზარალში), რომლის განმავლობაშიც ის წარმოიშვა.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება იანგარიშება შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება საოპერაციო ხარჯებში.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია ფლობს 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს და სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(თ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარება, ძირითადად, მაშინ წყდება (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღარ აისახება), როდესაც:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

გაუფასურება

კომპანია ამორტიზებული ღირებულებით აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა ფინანსური აქტივისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად კომპანია გამარტივებულ მეთოდს იყენებს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულში მიღებულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს მოგებაში ან ზარალში.

(ii) *ფინანსური ვალდებულებები*

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან, რომლებიც აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(თ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის განაწილების და მოგებაში ან ზარალში აღიარების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფინანსური აქტივებთან ან ფინანსური ვალდებულებებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდიანებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდის განმავლობაში, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას, კომპანია ფულად ნაკადებს აფასებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ მხედველობაში არ იღებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ თუ მიღებულ ყველა საკომისიოს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების დანახარჯებისა და სხვა პრემიებისა თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობების ან ისეთი მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობების საფუძველზე, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის განსხვავება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

(iv) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(თ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევა, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(თ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

(ი) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით მიღებულ შესყიდვის ღირებულებას და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

(კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივითვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის ფასდება არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ გაუფასურებით გამოწვეული უკვე აღიარებული ზარალი შეიძლება აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი აღდგენის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც აღდგენა აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

(ლ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში ნაღდი ფულის ნაშთისგან.

(მ) ფულადი დივიდენდები

კომპანია აღიარებს დივიდენდის გადახდის ვალდებულებას, როდესაც დივიდენდის განაწილება ნებადართულია და აღარ არის კომპანიის გადაწყვეტილების საგანი. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, დივიდენდების განაწილება ნებადართულია მაშინ, როდესაც მას ამტკიცებენ მფლობელები. შესაბამისი თანხის აღიარება პირდაპირ კაპიტალში ხდება.

(ნ) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის გამოცემულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა, წარმოდგენილია მხოლოდ ბასს 1-ისა და ბასს 8-ის შესწორებებით: „ტერმინ „არსებითი“ განმარტება“. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შემდგომ დაგეგმავს აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ნ) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

2018 წლის ოქტომბერში ბასს-მ გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და ბასს 8-ში „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, რათა ტერმინ „არსებითის“ განმარტება სხვადასხვა სტანდარტში შესაბამისობაში მოეყვანა და განმარტების გარკვეული ასპექტები დაეზუსტებინა. ახალი განმარტების მიხედვით, „ინფორმაცია წარმოდგენს მასალას, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მისი გამოტოვება, არასწორად წარმოდგენა ან დამალვა გავლენას მოახდენს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლების გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ისინი იღებენ კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ ფინანსური ინფორმაციის შემცველ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით.“

ტერმინ „არსებითის“ განმარტებაში შესული ცვლილებები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ქვემოთ ჩამოთვლილია სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა. ეს სტანდარტები, სავარაუდოდ, არ იქონიებს გავლენას კომპანიაზე:

- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში „საწარმოს განმარტება“;
- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“.

4. შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ ვარაუდს და განსჯას, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში მათი დადგომისთანავე აისახება.

შპს „ემესსი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიას აქვს მხოლოდ სავაჭრო დებიტორული დავალიანება დაფინანსების კომპონენტის გარეშე. ამ დავალიანების ვადა 12 თვეზე ნაკლებია. კომპანია ყველა თავისი სავაჭრო დებიტორული დავალიანების მიმართ იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ფასს 9-ით დაშვებულ გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ შედეგებს, ფულის დროით ღირებულებას და გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არის ხელმისაწვდომი ზედმეტი დანახარჯების თუ ძალისხმევის გაწევის გარეშე, წარსული მოვლენების, არსებული პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური ვითარების პროგნოზების შესახებ.

5. საოპერაციო შემოსავალი

	2019	2018
შემოსავალი აგენტის გასამრჯელოდან	4,222	5,926
შემოსავალი ადგილობრივი საქმიანობიდან		
შემოსავალი სატერმინალო მომსახურებიდან	85,940	54,337
შემოსავალი სახმელეთო გადაზიდვებიდან	5,012	4,871
შემოსავალი კონტეინერების შენახვიდან	4,789	3,016
შემოსავალი კონტეინერების გადაზიდვისთვის სარგებლობაზე გაცემიდან	4,969	2,261
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2,246	1,269
მთლიანი შემოსავალი ადგილობრივი საქმიანობიდან	102,956	65,754
სულ შემოსავალი	107,178	71,680

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

კომპანიამ შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები აღიარა:

	31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ.
აქტივები		
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	931	857
სახელშეკრულებო აქტივები	155	129
სულ აქტივები	1,086	986
ვალდებულებები		
სახელშეკრულებო ვალდებულებები	497	504
სულ ვალდებულებები	497	504

შპს „ემესსი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. შემოსავალი გაყიდვებიდან (გაგრძელება)

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

სახელშეკრულებო აქტივი წარმოადგენს გაწეული მომსახურების საზღაურს, რომელზეც მომხმარებლებს არ გამოეწერა ინვოისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები, ჩვეულებრივ, ფორმდება მომსახურების გაწევიდან ერთ კვირაში.

სახელშეკრულებო ვალდებულება არის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გაცემის ვალდებულება, რომლის ღირებულებაც კომპანიას მომხმარებლისგან მიღებული აქვს. სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. შესაბამისი მომსახურება, როგორც წესი, გაიწევა საზღაურის მიღებიდან ერთიდან სამ თვემდე პერიოდში. წლის დასაწყისში სახელშეკრულებო ვალდებულებებში ასახული თანხებიდან აღიარებული შემოსავლის ოდენობა 196 ლარია (2018 წ.: 125 ლარი).

6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული დანახარჯები

	2019	2018
კონტეინერების გემზე დატვირთვის და გემიდან გადმოტვირთვის ხარჯები	(52,099)	(32,940)
ტერმინალის მომსახურების ხარჯები	(9,413)	(5,114)
სახმელეთო გადაზიდვების ხარჯები	(5,242)	(3,768)
კონტეინერების შენახვის ხარჯები	(4,597)	(2,653)
სხვა	(767)	(951)
	(72,118)	(45,426)

7. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები

სხვა საოპერაციო შემოსავალი	2019	2018
ამწის მოცდენის დაბრუნებული ხარჯი	–	156
წმინდა შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	9	38
	9	194

სხვა საოპერაციო ხარჯები	2019	2018
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	3,051	2,273
იჯარის ხარჯი	328	279
პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულება	205	173
ცვეთა და ამორტიზაცია	180	162
სამივლინებო ხარჯი	123	141
წარმომადგენლობითი ხარჯი	229	114
დაზღვევის და აუდიტის ხარჯები	86	77
საოფისე აღჭურვილობა და საკანცელარიო საქონელი	53	62
მარკეტინგის ხარჯი	128	52
სხვა	106	189
	4,489	3,522

შპს „ემესი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. მოგების გადასახადი

2019 წელს კომპანიამ აღიარა განაწილებულ მოგებაზე (დივიდენდებზე) დარიცხული მოგების გადასახადი 3,446 ლარის ოდენობით მოგებაში ან ზარალში (2018 წ.: 2,793 ლარი).

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს:

	2019	2018
პარტნიორებისთვის გადახდილი წმინდა დივიდენდები	25,573	20,641
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	15/85	15/85
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	4,513	3,643
რეზიდენტი კომპანიისთვის გადახდილი დივიდენდები, რომლებიც გადასახადით არ იბეგრება	(903)	(729)
გადასახადით დაუბეგრავი მოგება	(164)	(121)
მოგების გადასახადი წლის განმავლობაში	3,446	2,793

9. ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	288	418	236	942
შემოსვლები	214	34	21	269
გასვლები	(167)	(1)	(4)	(172)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	335	451	253	1039
შემოსვლები		65	7	72
გასვლები	(44)	(34)	(7)	(85)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	291	482	253	1026
ცვეთა და გაუფასურება				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	190	254	147	591
შემოსვლები	31	36	14	81
გასვლები	(125)	(1)	(4)	(130)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	96	289	157	542
შემოსვლები	46	43	16	105
გასვლები	(32)	(22)	(6)	(60)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	110	310	167	587
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	181	172	86	439
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	239	162	96	497

შპს „ემესსი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა და პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები
თვითღირებულება	
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	793
შემოსვლები	29
გასვლები	(3)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	819
შემოსვლები	–
გასვლები	–
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	819
ამორტიზაცია	
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	443
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	81
გასვლები	(2)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	522
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	75
გასვლები	–
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	597
წმინდა საბალანსო ღირებულება	
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	222
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	297

11. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

	31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ.
წინასწარ გადახდილი იჯარა	149	80
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	63	40
სხვა	35	24
	247	144

12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ.
პრინციპალის სახელით მისაღები თანხები	5,238	2,478
სხვა დებიტორული დავალიანება	931	857
	6,169	3,335

შპს „ემესსი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია მთლიანი სავაჭრო და სხვა დებიტორული ანგარიშების ვადიანობის ანალიზი:

	სულ	არც ვადა- გადაცილებუ- ლი და არც გაუფასუ- რებული	ვადაგადა- ცილებული, მაგრამ არა გაუფასუ- რებული	<30 დღე	30-60 დღე	60 დღეზე მეტი
31 დეკემბერი, 2019 წ.	6,169	4,422	1,747	1,004	230	513
31 დეკემბერი, 2018 წ.	3,335	2,989	346	244	102	–

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება 16,014 ლარის ოდენობის ნაღდი ფულის ნაშთისგან ბანკში (2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: 6,872 ლარი), რომელიც განთავსებულია პროცენტიან მიმდინარე ანგარიშებზე ქართულ კომერციულ ბანკებში.

ქართულ ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებზე 2019 წელს მიღებული საპროცენტო შემოსავალი 1,152 ლარს შეადგენს (2018 წ.: 775 ლარი).

14. საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 50 ლარით განისაზღვრა. 2018 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მფლობელობის სტრუქტურა ასე გამოიყურებოდა:

უნაითედ ეიჯენსის ლიმიტიდ, შვეიცარია	80%
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინვეკო“	20%
	100%

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და სრულად გადაიხადა 25,573 ლარის დივიდენდები (2018 წ.: 20,641 ლარი).

15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ.
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	4,997	3,564
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება მშობელი კომპანიის მიმართ	12,073	4,226
	17,070	7,790

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება უპროცენტოა და საშუალოდ ერთთვიანი დაფარვის ვადა აქვს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა

მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისგან, ადგილობრივ კომერციულ ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან.

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, ასევე ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამო.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

კლიენტის საკრედიტო რისკი იმართება კომპანიის მიერ დანერგილი კლიენტის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკით, პროცედურებითა და კონტროლის მექანიზმებით. კლიენტის საკრედიტო ხარისხი, მათ შორის მშობელი საწარმოსი, ფასდება შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემით და ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები განისაზღვრება მხოლოდ მსხვილი მუდმივი კლიენტებისთვის მათი კრედიტუნარიანობის შეფასების და ამ კლიენტთან კომპანიის გამოცდილების მიხედვით, ასევე კლიენტის მხრიდან შესაბამისი საზღვაო ხაზის გამოყენებით საკონტეინერო მოცულობების რეგულარული გადაზიდვის გათვალისწინებით. საკრედიტო ლიმიტები კვარტალურად გადაიხედება კლიენტის ფაქტობრივი თანამშრომლობის მიხედვით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად შეიცვლება.

კლიენტებს, რომლებიც კრედიტით არ იხდიან, როგორც წესი, იმპორტირებული ტვირთის კონტეინერები არ გადაეცემათ, სანამ არ დაფარავენ გადაცემის თარიღისთვის დარიცხულ ყოველგვარ ვალდებულებას. იმპორტირებული ტვირთის კონტეინერების სრულად გადაცემის შემდეგ გადასახადების შესაძლო დარიცხვის შემთხვევაში, კომპანია კლიენტებისგან მოითხოვს პასუხისმგებლობის დაზღვევას, და ასევე შეიძლება მოითხოვოს საგარანტიო დეპოზიტები ან საბანკო გარანტიებიც.

ექსპორტის მთავარ კლიენტებს ზოგჯერ უფლება ეძლევათ, რომ გადმოტვირთვის ნავსადგურში ტვირთის შემოსვლისას გადაიხადონ. ასეთ შემთხვევებში, გადმოტვირთვის ნავსადგურის აგენტს უფლება აქვს, გააჩეროს ტვირთი კომპანიის მიმართ ყველა ვალდებულების დაფარვამდე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელობაში არსებული არცერთი სავაჭრო დებიტორული დავალიანება არ არის გაუფასურებული. საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოღება, ძირითადად, 30 დღეში ხდება. ვადაგადაცილებული დავალიანების ნაშთი შემდგომ დაიფარა, ამრიგად 2019 წლის 31 დეკემბრისთვის არ იყო გაუფასურებული.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მთლიანად უმსხვილეს ქართულ ბანკებშია განთავსებული. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არ არის ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული.

საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა წარმოდგენილია ფინანსური აქტივების თითოეული კლასის საბალანსო ღირებულებით.

(ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა მხოლოდ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება და რომლის საშუალო ვადა ერთი თვეა.

(გ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. საპროცენტო განაკვეთის რისკი კომპანიას არ ეხება, რადგან მას არ აქვს პროცენტის სესხები და გადასახდელი ანგარიშები. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

კომპანია არ ახდენს თავისი სავალუტო რისკის ჰეჯირებას.

შპს „ემესი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

კომპანიის სავალუტო რისკები ასეთია:

	31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ.
აქტივები აშშ დოლარში	8,614	4,651
ვალდებულებები აშშ დოლარში	16,023	6,879
წმინდა	(7,409)	(2,228)

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გამყარება/გაუფასურება 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა/(შემამცირებდა):

	გამყარება	გაუფასურება
31 დეკემბერი, 2019 წ.		
აშშ დოლარი (7%-იანი ცვლილება)	(519)	519
31 დეკემბერი, 2018 წ.		
აშშ დოლარი (11%-იანი ცვლილება)	(245)	245

(დ) კაპიტალის მართვა

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან.

კომპანიაზე არ ვრცელდება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

17. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. მაგრამ განუსაზღვრელობებისა და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების დაფარვით.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება ხასიათდება მოკლევადიანობით და შესაბამისად მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც ცნობილია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ლი დონით არის შეფასებული.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან 2019 და 2018 წლის განმავლობაში განხორციელდა და 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის დაკავშირებული მხარეების მიმართ დავალიანების ნაშთები:

	აგენტის გასამრჯელო	სხვა ადმინისტრაციული შემოსავალი	პროგრამული უზრუნ- ველყოფის მომსახურების შესყიდვა	სხვა მომსახურების შესყიდვა	ვალდებუ- ლებები დაკავში- რებული მხარეების მიმართ
პრინციპალი – 2019 წ.	4,222	81	198	183	12,073
Medlog Georgia – 2019 წ.	–	175	–	13,842	1,526
პრინციპალი – 2018 წ.	5,926	–	171	277	4,226
Medlog Georgia – 2018 წ.	–	–	–	–	–

გარიგებები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ 2019 წლის განმავლობაში ანაზღაურების სახით მიიღო 1,169 ლარი (2018 წ.: 1,129 ლარი), რაც აისახა ხელფასებსა და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

19. ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდგომი მოვლენა

ახალი კორონავირუსის („Covid-19“) არსებობა დადასტურდა 2020 წლის დასაწყისში და მისმა გავრცელებამ იმოქმედა როგორც ქართულ, ისე - საერთაშორისო ეკონომიკაზე. საქართველოს მთავრობამ გაატარა კორონავირუსის გავრცელების შემაკავებელი რამდენიმე ღონისძიება, რომლებსაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით, შეზღუდვების უმეტესობა გაუქმებულია, რამაც ქვეყანას ეკონომიკური ოპერაციების ნორმალურ პირობებში გაგრძელების შესაძლებლობა მისცა. კომპანია ვირუსის გავრცელებას მიიჩნევს საბალანსო უწყისის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად. ამ მოვლენას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის შემდგომ მოგებაზე, თუმცა საქმიანობაზე სრული ეფექტი ჯერჯერობით გაურკვეველია და ჩვენ თვალს ვადევნებთ მოვლენათა განვითარებას.

შპს „ემესსი ჯორჯია“
მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობითი ანგარიშგების შესავალი

ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს მმართველობით ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანად და ზუსტად წარმოდგენას. ანგარიში მომზადებულია საბჭოსთან კოორდინირებული შიდა მიმოხილვის და კონტროლის პროცესების შესაბამისად. ანგარიში აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

ალვან ალიჯიქი
მმართველი დირექტორი
შპს „ემესსი ჯორჯია“



თამარ ლომიძე
მთავარი ფინანსური ოფიცერი
შპს „ემესსი ჯორჯია“



მმართველობითი ანგარიშგების შესავალი

ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს მმართველობით ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანად და ზუსტად წარმოდგენას. ანგარიში მომზადებულია საბჭოსთან კოორდინირებული შიდა მიმოხილვის და კონტროლის პროცესების შესაბამისად. ანგარიში აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

ალექს ალიჯიძე

მმართველი დირექტორი

შპს „ემესსი ჯორჯია“

თამარ ლომიძე

მთავარი ფინანსური ოფიცერი

შპს „ემესსი ჯორჯია“

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის მიმოხილვა, საქმიანობის შედეგები და განვითარების გეგმები

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ემესსი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მ. ლებანიძის ქ. 17, 0102. კომპანიას სამი ოფისი აქვს თბილისში, ფოთსა და ბათუმში.

კომპანია დაფუძნდა 2009 წლის 7 აპრილს და მოქმედებს, როგორც სს „ემესსი მედიტერანიან შიფინგ კომპანის“ (შემდგომში, „ემესსი“ ან „პრინციპალი“) გენერალური აგენტი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე. კომპანია ფუნქციონირებს ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მეშვეობით.

MSC Mediterranean Shipping Company SA - წარმოადგენს მსოფლიოში სიდიდით მეორე საზღვაო ხაზს. „ემესსი ჯორჯია“ ავტორიტეტული გლობალური ბრენდის - „ემესსის“ ადგილობრივი სააგენტო ოფისია.

„ემესსი ჯორჯიას“ 80%-ს ფლობს შვეიცარიული სააქციო საზოგადოება „უნაითედ ეიჯენსის ლიმიტედი“ (United Agencies Limited SA) („მშობელი კომპანია“), ხოლო 20%-ს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინვეკო“ (შემდგომში ერთობლივად იწოდებიან „პარტნიორებად“). 2019 წლის განმავლობაში კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებები არ შესულა.

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის „ემესსი მედიტერანიან შიფინგ კომპანი“ (MSC Mediterranean Shipping Company SA), რომელიც შვეიცარიაში რეგისტრირებული კომპანიაა.

კომპანია „ემესსის“ უწევს სააგენტო მომსახურებას, ასევე „ემესსის“ საზღვაო გადაზიდვის კლიენტებს უზრუნველყოფს ადგილობრივი სატერმინალო, სახმელეთო გადაზიდვის, ლოგისტიკური და სხვადასხვა ადმინისტრაციული სერვისებით. ამრიგად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში მოქმედი მსხვილი იმპორტიორების/ექსპორტიორებისა და მთავარი ექსპედიტორების უმრავლესობა „ემესსი ჯორჯიას“ ადგილობრივად შეთავაზებული მომსახურების კლიენტები არიან.

კომპანია ასევე წარმოდგენილია სომხეთსა და აზერბაიჯანში მესამე მხარე ქვეკონტრაქტორების სააგენტო ოფისებით. მთავარი საოპერაციო ოფისი მდებარეობს ფოთში, ხოლო კომერციულ და მმართველობით ფუნქციებს ასრულებს თბილისში მდებარე სათაო ოფისი. 2019 წლის ბოლოსთვის კომპანიაში სრულ განაკვეთზე დასაქმებული იყო 51 თანამშრომელი (საშუალო მაჩვენებელი 2018 წლიდან უცვლელია): ფოთის ოფისში - 25, თბილისში - 21 და ბათუმში - 5 თანამშრომელი.

მთავარი ბაზრები და განვითარების გეგმები

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მშპ-ის ზრდის, 2016 წლიდან რეგიონის მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესების და გეოპოლიტიკური მიზეზების გამო, საქართველოს პორტებში დატვირთვა-გადმოცლის მთლიანი კონტეინერების მოცულობები (TEU*) 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, 39.5%-ით გაიზარდა (2018 წელს 15%-იანი წლიური ზრდის შემდეგ). ეს, ძირითადად, გამოწვეული იყო სამხრეთ კავკასიის რეგიონსა და ცენტრალურ აზიაში იმპორტზე მოთხოვნის გაზრდით, რომლის დაკმაყოფილებაც საქართველოს პორტების მეშვეობით ხდება;

2019 წლის განმავლობაში „ემესის“ მიერ საქართველოს პორტების გავლით გადაზიდული მთლიანი კონტეინერების (TEU) რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 43%-ით გაიზარდა; „ემესის“ გადაზიდვების საერთო მოცულობის ზრდა, ძირითადად, განაპირობა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ბაზარზე იმპორტზე მოთხოვნის ზრდამ, რასაც დაერთო ადგილობრივ ბაზარზე „ემესის“ ექსპორტის წილის ზრდა;

2017 წლიდან „ემესიმ“ დაამატა შავი ზღვის ფიდერული მომსახურება ბათუმის პორტში, იტალიის ჯიოია-ტაუროს ნავსადგურში გადატვირთვის შემდეგ; ამ ახალი მომსახურებით გაუმჯობესებული სატრანზიტო დროის გამო (იხ. ქვემოთ), საქართველოს პორტებმა უკვე მიიზიდა სატრანზიტო ტვირთის მნიშვნელოვანი მოცულობები, რომელთა გადაზიდვა მანამდე საქართველოს გავლით არ ხდებოდა;

2019 წელს იმპორტის მოცულობის გაზრდის შემდეგ, „ემესი ჯორჯია“ მოელის, რომ ბათუმის გავლით ტრანზიტული გადაზიდვების მოცულობა მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაიზარდება, „ემესის“ ახალი მომსახურებით უფრო სწრაფად დაკავშირების შესაძლებლობის და საოპერაციო ეფექტიანობის, ასევე 2018 წლის ბოლოდან ბათუმის ტერმინალის მიერ სხვადასხვა ახალი ლოგისტიკური მომსახურების დანერგვის გამო.

ადგილობრივი ტერმინალის და სხვადასხვა ლოგისტიკური მომსახურების გარდა, „ემესი ჯორჯია“ მომხმარებლებს სახმელეთო გადაზიდვის მომსახურებასაც სთავაზობს. ეს მომსახურება, ძირითადად, გულისხმობს ტვირთის საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტირებას სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე. 2017 წლიდან, კომპანიის დაფარვის არეალის გაფართოების შემდეგ, შესაძლებელი გახდა სახმელეთო მომსახურება ირანისა და ცენტრალური აზიის მიმართულებითაც; ამ მარშრუტებზე გადაზიდვების მოცულობა 2018 და 2019 წლების განმავლობაში კიდევ უფრო გაიზარდა. მომდევნო წლებში კომპანია აპირებს ირანისა და ცენტრალური აზიის მიმართულებით სახმელეთო გადაზიდვების მოცულობების მოქნილობის გაუმჯობესებას მომხმარებლებისთვის უფრო ეფექტური დაკავშირების, ხარისხიანი მომსახურების და კონკურენტული ფასების შეთავაზებით; „მედლოგ ჯორჯიასთან“ ხელშეკრულების გაფორმებით, რომელმაც თავისი ინტერმოდალური ოპერაციები 2019 წელს დაიწყო, „ემესი ჯორჯია“ ბაზრისთვის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობის შეთავაზებას აპირებს.

მთავარი ბაზრები და განვითარების გეგმები (გაგრძელება)

მომხმარებლებისთვის მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად და საოპერაციო ეფექტიანობის გასაზრდელად, „ემესსი“ ბოლო წლებში თავისი სისტემების დახვეწაში ინვესტიციებს ახორციელებს; 2017 წლის ბოლოსთვის კომპანიამ ამოქმედდა ახალი პორტალი, რითაც მომხმარებლებს საშუალება მიეცათ, დღე-ღამის ნებისმიერ დროს ელექტრონულად დაეჯავშნათ კონტეინერები, თვალი ედევნებინათ გადაზიდვისთვის, აეტივრთათ და ჩამოეტვირთათ შესაბამისი დოკუმენტაცია; კომპანიამ ჯერ კიდევ 2018 წლიდან დაიწყო ელექტრონული შეკვეთები მიღება და მომხმარებელთა პორტალის კიდევ უფრო დახვეწას აპირებს, რათა მათ უფრო სწრაფი და მოხერხებული ონლაინ მომსახურება შესთავაზოს.

სისტემური განახლებები კომპანიის შიგნითაც იგეგმება, რათა შიდა საოპერაციო პროცესებისა და დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება და ნაწილობრივი ავტომატიზაცია მოხდეს, რაც ასევე უზრუნველყოფს მომავალში მომხმარებლების უფრო სწრაფ და ეფექტურ მომსახურებას.

კომპანიის განვითარების მიმართულებას, ძირითადად, განსაზღვრავს მომხმარებელთა მოთხოვნა მომსახურების გარკვეული ტიპის მომსახურებებზე. „ემესსი“ მიზნად ისახავს ისეთი მომსახურების შეთავაზებას, რომლებიც მისადაგებული იქნება მომხმარებლის კონკრეტულ მოთხოვნებთან, მათთან ახლო კომუნიკაციის მეშვეობით, ასევე კონკურენტული ტარიფებისა თუ სატრანზიტო ვადების დაწესებით და მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული მომსახურების გაწევით.

საქმიანობის მთავარი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

„ემესსი ჯორჯიას“ ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს კომპანიის ზრდის გაზომვად მაჩვენებლებს და მისი საოპერაციო ეფექტურობის განმსაზღვრელ კოეფიციენტებს; მომხმარებელთა კმაყოფილება, რომელიც ზრდის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელია, განისაზღვრება კომპანიის საბაზრო წილის ცვლილებით მთლიანი ბაზრის ფინანსურ შედეგებთან შედარებით; 2019 წლის შედეგებზე დაყრდნობით, „ემესსის“ მიერ გადაზიდული კონტეინერების მოცულობები უფრო მაღალი პროცენტითაა გაზრდილი, ვიდრე რეგიონის საკონტეინერო გადაზიდვების მთლიანი ბაზარი, რაც იმას ნიშნავს, რომ, კონკურენტებთან შედარებით, „ემესსის“ მომსახურებას უფრო მეტი მომხმარებელი ანიჭებს უპირატესობას. „ემესსი ჯორჯია“ ყოველთვის სტაბილური დამსაქმებელი იყო. თანამშრომლების 90%-ზე მეტი კომპანიაში 5 წელზე მეტი ხნით რჩება და ბოლო ხუთი წელია, თანამშრომელთა ბრუნვა 5%-ზე ნაკლებია, რაც, თავისთავად, თანამშრომელთა კმაყოფილებაზე მეტყველებს. მთავარი ფინანსური საზომი, რომლის მეშვეობითაც ხელმძღვანელობა კომპანიის ზრდას და საოპერაციო ეფექტურობას აფასებს, არის EBITDA (შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე), რომელიც 2019 წლისთვის 30,760 ათას ლარს შეადგენს (2018 წ.: 23,088 ათასი ლარი). კიდევ ერთი ფინანსური საზომი, რომლის მეშვეობითაც ხდება ფულადი ნაკადების მართვის ეფექტურობის მონიტორინგი, არის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება მიმდინარე აქტივების

საქმიანობის მთავარი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან; მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2019 წლის ბოლოსთვის 1.21-ს გაუტოლდა (2018 წ.: 1.18). მომავალ წელს კომპანია EBITDA-ს 10%-ით გაზრდას, ხოლო მიმდინარე ლიკვიდურობის 1.1-ზე მაღალი კოეფიციენტის შენარჩუნებას აპირებს.

ყველა დანარჩენი ფინანსური ინფორმაცია, რისკების და განუსაზღვრელობის ჩათვლით, წარმოდგენილია 2019 წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაის“ მიერ 2020 წლის 25 აგვისტოს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.